პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
პარასკევი
26 იანვარი
№ 22 (17367)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის მეოთხე წელიწადი

სარემონტო კონვეიერს — ზუსტი რიტმი

როგორ ვასრულებთ იანვრის დავალებებს

პრაქტიკულად თითქმის ყველა გუთანი და სათესელა გაამზადეს სამუშაოდ ხუთწლედის მეოთხე წლის მინდვრის სამუშაოებისათვის, მანქანა-ტრაქტორის პარკის დროული და სანიმუშო მომზადებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორის—გორის რაიონის მეურნეობებმა, თუმცა 641 ტრაქტორიდან აქ ჯერ-ჯერობით 578 ტრაქტორი გამართეს.

დამკვრელურად შრომობენ ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის, ლაგოდეხის, თელავის, რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონის მექანიზატორები და მერემონტე მუშები. ტრაქტორების რემონტს აყოვნებენ. აბაშის, ორჯონიკიძის, ონის და სხვა მეურნეობები.

და თუმცა მთლიანად რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი გასული წლის ტემპთან შედარებით, ერთგვარი გასწრებით მიმდინარეობს, ბევრი რაიონის მეურნეობაში სარემონტო სამუშაოების ნაკლები ორგანიზებულობა იგრძნობა.

მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადების ტემპი და ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მთელი სარემონტო კონვეიერის შეთანხმებულ მუშაობაზე.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გაიზიარონ ბელორუს მექანიზატორთა გამოცდილება გაცვეთილი დეტალების რესტავრაციის საქმეში. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ საჭირო სათადარიგო ნაწილებზე მერემონტეთა მოთხოვნილება.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 15 იანვრის მონაცემებით რესპუბლიკაში მინდვრის სამუშაოებისათვის მომზადებულია:

	მანქანების რიცხვი	მათ შორის წესიერი	წესიერების მანქანების პროცენტი
ტრაქტორი	20678	18395	89
გუთანი	7761	6831	88
სათესელა	3906	3255	83
კულტივატორი	4403	3886	88

(საქინფორმი).

ზეგეგმითი ეშელონები

ტყიბული. (საკ. კორ.). რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის — ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი (დირექტორი — ვ. პატარიძე) ახალი წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად მუშაობს. ქვანახშირის ამოღების იანვრის პირველი ნახევრის სახელმწიფო დავალება საწარმომ 106,2 პროცენტით შეასრულა. შახტის ბუნკერიდან უკვე გავიდა ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირით დატვირთული მესამე სარკინიგზო ეშელონი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა სანგრევის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

სოციალისტური შეჯიბრების სათავეში დგანან ის საექსპლოატაციო უბნები, რომელთაც მოწინავე სამთო ოსტატები ბ. ჩაფიძე, მ. გვენეტაძე, რ. კიკოლიაშვილი, ვ. ქაჯაია და დ. ბოჟორიშვილი უდგანან სათავეში.

დამკვრელურად დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი აგრეთვე სტალინის სახელობის შახტის (დირექტორი — ლ. კორძაძე) კოლექტივმა, რომელიც შარშან მთელი წლის მანძილზე ჩამორჩებოდა. 107,2 პროცენტი — ასეთია ამ შახტის იანვრის პირველი ნახევრის შრომითი მაჩვენებელი.

ქარგი სტარტი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). დედაქალაქის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი — ლ. გვაჯაია) კოლექტივმა კარგი საწარმოო მაჩვენებლებით დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი.

იანვრის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკერავებმა თერმეტი პროცენტით გაზარდეს გამომშვებული პროდუქციის მოცულობა და 250 ათასი მანეთით მეტი წაწარმი დაამზადეს. სულ წარმოებულია 2 მილიონ 220 ათასი მანეთის პროდუქცია.

შეჯიბრების მოწინავენი

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა. შარშან ჩაის, თამბაქოს, სიმინდისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციის გზით კოლმეურნეობის შემოსავალმა 2700 ათას მანეთს მიაღწია, აქედან 465 ათასი მანეთი წმინდა მოგებაა.

მეჩაიეებმა დაიწყეს მწკრივთშორისების დამუშავება და ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა. აგრეთვე ხვნა სიმინდის დასათესად და თამბაქოს დასარგავად. ამ დღეებში კოლმეურნეთა სოციალისტურ შეჯიბრებას სპთავეში ჩაუდგა ოთარ ინაპშაას ბრიგადა. წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება.

სურათზე: კოლმეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორი ვალერი ჩაბლახი. მან დროულად დაამთავრა ტექნიკის შეკეთება. მოწინავე მექანიზატორი თავის მეგობრებთან ერთად ნიადაგის საგაზაფხულო ხვნას შეუდგა.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიულ კონფერენციაზე

25 იანვარს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XXIII კონფერენცია. იგი შეაჯამებს საანგარიშო პერიოდში დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგებს, განსაზღვრავს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მოსკოვის კომუნისტთა მორიგ ამოცანებს.

დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, ა ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ნ. ა. ტიხონოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, მ. ს. გორბაჩოვს. (საკდესი).

დოკუმენტების კრებული

გამოვიდა დოკუმენტების ექსტომეული კრებულის მეორე ტომი „საბჭოთა კავშირი 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდის საერთაშორისო კონფერენციებზე“

(საკდესი).

სოფეს მსახიობთა დიდი წარმატება

22-24 იანვარს თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა სომხეთის გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის შრომის წითელი დროშაა ორდენოსანი აკადემიური თეატრის გასტროლები, რომელიც თბილისში საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრ „მეგობრობის“ მოწვევით იყო ჩამოსული.

სომეხმა მსახიობებმა აჩვენეს თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი — შექსპირის „ჟორიალანოსი“, რომელსაც თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი გულთბილად შეხვდნენ. თბილისელები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს მთავარი როლების შემსრულებლებს — სომხეთის სსრ სახალხო არტისტებს: ხ. აბრამიანს, ლ. ოვანესიანს, სომხეთის დამსახურებულ არტისტს მ. მანუკიანს და სპექტაკლის სხვა მონაწილეებს, რომლებმაც მაღალი პროფესიული ოსტატობა ცხადყვეს.

24 იანვარს სომხეთის თეატრის დასკვნითი სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა. (საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

„გამომგზავნებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესებების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს „გამომგზავნებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღის“ დღესასწაული.

„გამომგზავნებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღე“ აღინიშნება ყოველწლიურად ივნისის უკანასკნელ შაბათ დღეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 24 იანვარი.

გაზეთმა საკითხი წამოჭრა

არსებითად, ოპერატიულად!

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. გამცემლიძე მხარს უჭერს მკითხველის მოსაზრებას.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან „კომუნისტის“ 24 იანვრის მოწინავე სტატიაში— „ადამიანებზე ფიქრით და ზრუნვით“ და წერილების სპეციალურ გვერდში ლაპარაკი იყო მკითხველისა და გაზეთის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაზე, მკითხველთა წერილების ქმედითობის ამაღლებაზე. აღნიშნულ გვერდზე დაიბეჭდა „კომუნისტის“ მკითხველის შ. კაკაბაძის წერილიც — „ფიქრები ხევსურეთზე“, რომელშიც წამოჭრილი იყო საკითხი, რომ ამ მხარეში შეიქმნას იმგვარი საწარმოები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მთიანი სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ჩვენი მკითხველის წერილს ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომლის კოლეგიამ გუშინ სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე. ვბეჭდავთ სამინისტროს პასუხს რედაქციისადმი:

„კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილს — „ფიქრები ხევსურეთზე“ რომ გავეცანით, სავსებით სწორად მივიჩნიეთ საკითხის დაყენება — საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში, ხევსურეთში, მოსახლეობის შენარჩუნების, მისი ეკონომიკის განვითარების მიზნით, ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინებით, გაიხსნას საქსოვი წარმოების ფილიალი. სამინისტროს სპეციალურ საპროექტო - საკონსტრუქტორო ბიუროს დაევალა ფილიალისათვის ადგილის შერჩევა და მიმდინარე წელს საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

ამასთანავე საგეგმო-ეკონომიკური სამმართველო წარმოადგენს წინადადებას აღნიშნული ფილიალის პროფილის, ასორტიმენტისა და მოცულობის განსაზღვრის შესახებ.

ფილიალის მშენებლობას სამინისტროს 1980 წელს შეუდგება.

ამ გადაწყვეტილების შესრულებას კონტროლს გაუწევს სინისტრის მოადგილე მ. თენეიშვილი.

ბ. გამცემლიძე,
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

ნ. მალაზონიას პლაკატი.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედის ნაბიჯები

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, 1978 წელს მოიპოვეს ახალი წარმატებები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მიღწეულია რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდა, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.

გასულ წელს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1978 წელი პროცენტობით 1977 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	105,4
სამრეწველო პროდუქცია — სულ	107,4
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	107,2
მოხმარების საგნების წარმოება	107,7
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	101,9
ძირითადი ფონდების ამოქმედება	129,0
კაპიტალური დაბანდებანი — სულ	103
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	101,7
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	105,6
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება)	105,7
მშენებლობაში	106,2
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესადარი ფასებით)	105,7
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,5
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	104,5
მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი	102,7
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	104,9
მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარება და შეღავათები — სულ	106,3
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	104,5
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	110,2
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	106

1978 წელს გრძელდებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება, მათი მიღწევების დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გასულ წელს შეიქმნა დაახლოებით 60 დასახელების ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ნიმუშები, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია 30 უბანი, საამქრო, წარმოება, შექმნილია 7 ავტომატიზებული სისტემა აღრიცხვისათვის, დაგეგმვისა და მართვისათვის, მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების მქონე მართვის ავტომატიზებული სისტემის 5 სისტემა; დანერგილია 24 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით სახალხო მეურნეობაში დაიზოგა 65 ათასი კაცის შრომა; შემცირდა საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა, რის შედეგად დაიზოგა დაახლოებით 80 მილიონი მანეთის ნედლეული, მასალები, სათბობი და შრომის სხვა საგნები.

1978 **წელს ეროვნულმა შემოსავალმა** შეადგინა 6.633 მილიონი მანეთი (ფაქტიური ფასებით) და წლის მანძილზე გაიზარდა 376 მილიონი მანეთით. ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დაწახარჯების გათვალისწინებით უშუალოდ ხალხის კეთილდღეობისათვის გამოიყო ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი.

სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 1977 წელთან შედარებით 537 მილიონი მანეთით და მიაღწია 7.829 მილიონ მანეთს (1975 წლის 1 იანვრისათვის საწარმოთა საბითუმო ფასებით).

სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1978 წელს შეადგინა 2.000,7 მილიონი მანეთი, რაც 34,4 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის საშუალო-წლიურ წარმოებას.

I. მრეწველობა

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შესრულდა ვადამდე, 1978 წლის 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 126,8 მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების მატებამ 1977 წელთან შედარებით შეადგინა 7,4 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 7 პროცენტის ნაცვლად (საშუალო-სადღეღამისო წარმოება გაიზარდა 7,6 პროცენტით). ქვემოთ მოგვყავს მონაცემები მრეწველობის **ცალკეული დარგების** მიხედეთ:

	1978 წლის წარმოების მოცულობა პროცენტობით 1977 წელთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	105
სათბობის მრეწველობა	109
შავი და ფერადი მეტალურგია	103
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	103
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	109
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	108
საშენ მასალათა მრეწველობა	107
მსუბუქი მრეწველობა	107
კვების მრეწველობა	108
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოება	111

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,6 პროცენტით; შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია წარმოების მატების სამ მეოთხედზე მეტი. სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულება შემცირდა წინა წელთან შედარებით. მოგება** გაიზარდა 3,4 პროცენტით.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	პროდუქციის რეალიზაცია ს ს ს წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1978 წელი პროცენტობით 1977 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	1978 წელი პროცენტობით 1977 წელთან შედარებით: შრომის ნაყოფიერება
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები	102	106	104
აქედან:			
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს	102	105	106
ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს	101	106	105
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს	99,0	99	99,9
შავი მეტალურგიის სამინისტროს	101	103	102
ქიმიური მრეწველობის სამინისტროს	101	102	102
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს	100,9	106	103
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო პრეწველობის სამინისტროს	99	103	100,7
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროს	102	119	113
საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს	104	107	105
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს	100,7	96	99,4
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს	101	104	103
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს	100,9	105	105
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს	102	108	110
კვების მრეწველობის სამინისტროს	104	109	106
თევზის მეურნეობის სამინისტროს	100,5	91	89
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები	102	108	106
აქედან:			
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს	100,7	109	106
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს	101	105	105
მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს	101	107	105
კვების მრეწველობის სამინისტროს	102	109	109
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს	98	103	101
დამზადების სამინისტროს	106	106	103
მშენებლობის სამინისტროს	100,0	104	100,9
სასოფლო მშენებლობის სამინისტროს	102	114	105
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს	102	111	109
ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები			
აფხაზეთის ასსრ	102	103	101
აჭარის ასსრ	102	107	105
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	102	103	103

(დასასრული მე-2 გვ.).

ხალხის კანდიდატები

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე

თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების მუშის **ნინო მიხეილის ასულ პანკოვას** კანდიდატურა მოიწონა წინასაარჩევნო თათბირმა, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 162 თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქში გაიმართა.

წინასაარჩევნო თათბირებზე ხალხის მაღალი ნდობა დაიმსახურეს ამერკავკასიის რკინიგზის უფროსმა **ლევან გრიგოლის ძე ვარდოსანიძემ,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული № 185 სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ალექსი ნიკოლოზის ძე ინაურმა,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს № 191 ცხინვალის საარჩევნო ოლქში, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა **ოლეგ თევდორეს ძე კულიშევმა,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია № 484 გაგრის საარჩევნო ოლქში, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბლოხინმა,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს № 486 გუდაუთის საქალაქო საარჩევნო ოლქში, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძემ,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული № 175 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში.

№ 658 თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქის საოლქო წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურებად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ანდრია პავლეს ძე კირილენკოსა** და თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის **გიორგი ნიკოლოზის ძე კურტანიძის** დასახელებას.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებმა მხარი დაუჭირეს ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ელექტროშემდუღებლის **ლერი მიხეილის ძე ფილიას** კანდიდატურას, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს № 494 ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქში, ცხინვალის ემალსადენის ქარხნის მემანანქრეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირს **ფატიმა ციკას ასულ გასიევას** კანდიდატურას, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არის დასახელებული № 736 ცხინვალის საქალაქო საარჩევნო ოლქში.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე დიდი ნდობა გამოუცხადეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს **რევაზ დავითის ძე ჩხეიძეს,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ № 177 ქობულეთის საარჩევნო ოლქში, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო, გაერთიანების მქსოველს **ციური მიხეილის ასულ დეკანოიძეს,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში დასახელებული № 667 ქუთაისის საარჩევნო ოლქში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელს **ოთარ ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძეს,** რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს № 665 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში.

თათბირების მონაწილეებმა სთხოვეს კანდიდატებს კენჭი იყარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად. თათბირებზე აირჩიეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი და მიიღეს მმართველი ყველა ამომრჩეველისადმი.

(საქინფორმი).

ხუთწლედის ნაბიჯები

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება	1978 წელი პროცენტობით 1977 წელთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	ნაყოფიერება
ქალაქები:			
თბილისი	102	108	106
სოხუმი	102	101	98
ბათუმი	102	107	105
ცხინვალი	102	103	103
ქუთაისი	102	107	106
რუსთავი	100,8	101	102
გაგრა	102	95	90
გორი	100,3	102	102
ზუგდიდი	102	113	110
ფოთი	102	99,6	98
ტყვარჩელი	104	118	119
ტყიბული	100,1	110	111
წყალტუბო	103	114	110
ჭიათურა	104	104	100,6

გაუმჯობესდა საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და მათივე გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება ერთიორად გაიზარდა. წლის დამლევისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ჰქონდა 1.616 ნაწარმს. ათვისებულია და დაიწყო სერიული გამოშვება 202 დასახელების ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციისა. წარმოებიდან მოიხსნა 17 დასახელების მოძველებული კონსტრუქციის მანქანები, მოწყობილობანი, აპარატები, ხელსაწყოები და ნაწარმი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

	წარმოებულია 1978 წელს	1978 წელი პროცენტობით 1977 წელთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები)—მილიონი კილოვატსაათი	12554	105
მანგანუმის მადანი — ათასი ტონა	2147	111
ფოლადის მილები:		
მილიოხი მეტრი	28,3	101
ათასი ტონა	525	99
მინერალური სასუქები — ათასი ტონა:		
პირობითი ერთეული	715	95
ყუთთიან ნივთიერებათა 100 პროცენტიან შემცველობაზე გაანგარიშებით	147	96
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	16,3	99,8
ცვლადი დენის ელექტროძრავები — ათასი კილოვატი	103	120
ლითონსაჭრელი ჩარხები:		
ცალი	4149	102
მილიონი მანეთისა	32,7	98
სამაგისტრალო ელმავლები:		
ცალი	128	102
ათასი ცხენისძალა	925	104
სატვირთო ავტომობილები—ათასი ცალი	20,5	100,9
ავტომობილის სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	21,2	109
ქაღალდი: ათასი ტონა	36,6	103
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები (საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების წარმოების გარდა) — ათასი კუბური მეტრი	1681	121
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	65,6	94
მოსაპირკეთებელი მოჭიქული (საკედლე) კერამიკული ფილები — ათასი კვადრატული მეტრი	770	122
წინდა — მილიონი წყვილი	23,4	105
ტრიკოტაჟის საცვალი—მილიონი ცალი	22,4	103
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	15,3	103
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	15,1	102
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	73,9	99,3
ძეხვეული — ათასი ტონა	27,9	100,9
ცხიმიანი ყველი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	19,7	100,7
კონსერვი (საბჭოთა მეურნეობების წარმოების გარდა) — მილიონი პირობითი ქილა	376	97
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან)—ათასი ტონა	14,4	157
მინერალური წყალი მილიონი 0,5-ლიტრიანი ბოთლი	456	94
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	32	107
კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ტონა	1319	93
მოუხდელი რძის პროდუქცია, რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	161	104
ნატურალური (ხარისხოვანი) დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	41,9	109
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა) — მილიონი დეკალიტრი	18,8	106
შამპანური — მილიონი ბოთლი	18,0	105
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	19,2	103
ავეჯი — მილიონი მანეთისა	82,7	111

გაიზარდა ნავთობის, ტყვია-თუთიის მადნის მოპოვება, შავი ლითონების, ნაგლინის, მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა, დაფასოებული არაყანის, ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაის, კონიაკისა და სხვა სახეობის პროდუქციის წარმოება.

თუმცა მთლიანად მრეწველობის მუშაობას დადებითი შედეგები აქვს, მაგრამ ზოგიერთმა საწარმოო გაერთიანებამ და საწარმომ ვერ შეასრულეს დასახული ასორტიმენტის პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების დადგენილი დავალებანი.

მთლიანად ვერ შესრულდა ქვანახშირის მოპოვების, მინერალური სასუქების, ცემენტის, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ხორცის, მინერალური წყლისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

მიწოდების ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა შესაბამისად მთლიანად ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდება საშენ მასალათა, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

II. სოფლის მეურნეობა

1978 წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებებს, მიაღწიეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ბევრი პროდუქტის წარმოების შემდგომ ზრდას. მიღებულია რეკორდული მოსავალი — ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 430,3 ათასი ტონა და ყურძნისა — 773,5 ათასი ტონა.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (ათასი ტონა):

	სამუალოდ წელიწადში				
	1971-1975 წლები	1976-1978 წლები	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
მარცვლეული	714,0	717,3	765,6	715,8	670,6
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	131,8	129,4	131,9	137,5	118,8
მზესუმზირა	18,2	13,3	16,7	12,2	11,1
კარტოფილი	236,7	317,3	275,8	321,3	354,7
ბოსტნეული	372,6	489,7	491,3	509,1	468,6

მოწეულია 268,5 ათასი ტონა ხორბალი, 289,7 ათასი ტონა სამარცვლე სიმინდი. მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწიეს წითელწყაროს, სიღნაღის, აბაშის, ხობისა და სხვა რაიონების მეურნეობებმა.

ყურძნის მთლიანი მოსავალი 1978 წელს 344,8 ათასი ტონით მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ 1971-1975 წლებში. ყურძნის მოსავლიანობამ შარშან ჰექტარზე შედგინა 71,4 ცენტნერი, რაც 58 პროცენტით აღემატება წინა ხუთწლედის საშუალო-წლიურ მოსავლიანობას.

ყურძნის წარმოებაში დიდი წვლილი შეიტანეს გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის, ახმეტისა და სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის ასსრ მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს 81,4 ათასი ტონა ჩაი, აჭარის ასს რესპუბლიკის მეჩაიეებმა — 58,3 ათასი ტონა, მახარაძის რაიონისამ — 76,7 ათასი ტონა, ზუგდიდის რაიონისამ — 56,9 ათასი ტონა, წალენჯიხის რაიონისამ — 26,6 ათასი ტონა.

წინა წელთან შედარებით კარტოფილის წარმოება გაიზარდა 33,4 ათასი ტონით, ანუ 10 პროცენტით. კარტოფილის წარმოებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალქალაქის, დმანისის, წალკის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებმა.

ამავე დროს 1978 წელს არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო მიღწეული არ არის შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ბაღჩეულის, ხილის წარმოების გათვალისწინებული ზრდა, რის შედეგად ამ პროდუქტების შესყიდვის გეგმა მთლიანად არ შესრულებულა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების 1979 წლის მოსავლის უზრუნველსაყოფად. მიმდინარე წლის მოსავლისათვის დაითესა 163,0 ათასი ჰექტარი სამარცვლე საშემოდგომო კულტურები; მზრალად მოხნულია 150,0 ათასი ჰექტარი. რესპუბლიკის მეურნეობანი უზრუნველყოფილია მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლით; თესლი მეტ წილად სათესი კონდიციისაა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მასობრივი რემონტი, ყანებში გაანაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, მნიშვნელოვან ფართობებზე განხორციელდა საშემოდგომო ტენსაგროვებელი რწყვა.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ შეადგინა (ათასი სული):

	1 იანვრისათვის		
	1977 წ.	1978 წ.	1979 წ.
ყველა კატეგორიის მეურნეობები			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1492,7	1531,5	1578,6
აქედან ფური	584,7	592,8	596,4
ღორი	731,6	827,5	1013,0
ცხვარი და თხა	1983,9	2023,2	2041,2
კოლმეურნეობები, სამეურნეო-ბათაშორისო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა **სახელმწიფო მეურნეობანი**			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	661,3	671,5	672,0
აქედან ძროხა	185,1	186,3	189,0
ღორი	304,1	339,3	468,2
ცხვარი და თხა	1309,8	1304,4	1310,0
მოსახლეობის პირადი **დამხმარე მეურნეობანი**			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	831,4	860,0	906,6
აქედან ძროხა	399,6	406,5	407,4
ღორი	427,5	488,2	544,8
ცხვარი და თხა	674,1	718,8	731,2

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	სამუალოდ წელიწადში				
	1971-1975 წლები	1976-1978 წლები	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
ხორცი (ნაკლავის წონა) — ათასი ტონა	122,8	133,8	140,8	129,4	131,1
რძე — ათასი ტონა	526,7	608,8	578,4	608,6	639,5
კვერცხი — მილიონი ცალი	479,6	594,1	558,3	585,5	638,6
მატყლი—ათასი ტონა	5,1	5,3	5,3	5,2	5,4

წარმოება 1977 წელთან შედარებით გაიზარდა: ხორცისა — 1,3 პროცენტით, რძისა — 5,1 პროცენტით, კვერცხისა — 9,1 პროცენტით და მატყლისა — 3,8 პროცენტით. კოლმეურნეობებმა, სამეურნეობათშორისო საწარმოებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან გაადიდეს მატყლისა და კვერცხის წარმოება.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	სამუალოდ წელიწადში				
	1971-1975 წლები	1976-1978 წლები	1976 წ.	1977 წ.	1978 წ.
პირუტყვი და ფრინველი — ათასი ტონა:					
ცოცხალი წონა	102,1	135,7	130,8	136,1	140,5
ნაკლავის წონაზე გადაანგარიშებით	64,0	85,0	82,4	82,7	89,9
რძე — ათასი ტონა	197,9	249,8	234,0	253,8	261,7
კვერცხი — მილიონი ცალი	239,8	363,6	326,7	359,1	404,9
მატყლი (ჩასათვლელი წონა) — ტონა	5,6	5,7	5,7	5,5	5,8

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა 450,2 მილიონი მანეთი შეადგინა და წლის მანძილზე 1,8 პროცენტით გაიზარდა.

გრძელდებოდა სამეურნეობათშორისო კოოპერაციის შემდგომი განვითარება სოფლად, 1979 წლის დამდეგისათვის იყო 300-მდე სამეურნეობათშორისო საწარმო, ორგანიზაცია და გაერთიანება.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილმა კაპიტალურმა დაბანდებამ სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა 446,5 მილიონი მანეთი, აქედან სახელმწიფოს კაპიტალურმა დაბანდებამ — 338,1 მილიონი მანეთი და კოლმეურნეობების დაბანდებამ — 107,7 მილიონი მანეთი. საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობას მოხმარდა 105 ათასი მანეთი.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 2468 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 3137 ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 199,3 ათასი ცხენისძალაა, 200 მარცვალსაღები კომბაინი, 370 სილოსასაღები კომბაინი, 690 ტრაქტორის სათიბელა, 350 წნეხ-ამრეკი, 429 დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი.

1978 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 848 ათასი ტონა მინერალური სასუქი, ანუ 1977 წელთან შედარებით 15,2 ათასი ტონით მეტი, და 9,3 ათასი ტონა ქიმიური საკვების დანამატი.

სოფლის მეურნეობისათვის მეტ წილ სახეობათა ტექნიკის მიწოდების გეგმა შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვების დანამატის მიწოდების გეგმა.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთის გაგზავნის საერთო მოცულობა 1977 წელთან შედარებით გაადიდა 3,5 პროცენტით, რაც 0,6 პროცენტით აღემატება გასული წლისას. ვაგონების საშუალო-სადღეღამისო დატვირთვის გეგმა ვერ შესრულდა.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** მგზავრბრუნვისა და ტვირთბრუნვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. 1977 წელთან შედარებით მგზავრბრუნვა გაიზარდა 3,3 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 8,6 პროცენტით. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის გეგმა 102,0 პროცენტით შესრულდა და 1977 წელთან შედარებით 11,2 პროცენტით გაიზარდა. მსუბუქი ტაქსომოტორების ფასიანი გარბენის გეგმა 102,7 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ შინაგან და საზღვარგარეთის ნაოსნობაში ტვირთზიდვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის **საჰაერო ტრანსპორტმა** საუბნო მგზავრბრუნვის გეგმა 10,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა, გადაყვანილია 2,0 მილიონი კაცი. 1977 წელთან შედარებით საუბნო მგზავრბრუნვა 11,4 პროცენტით გაიზარდა, მგზავრთა გადაყვანა 8,4 პროცენტით გადიდდა. ტვირთბრუნვის გეგმის შესრულებამ 107,7 პროცენტი შეადგინა და 1977 წელთან შედარებით 4,7 პროცენტით გადიდდა.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) პროდუქციის მოცულობა 1977 წელთან შედარებით 6,7 პროცენტით გაადიდეს; კავშირგაბმულობის პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა შესრულდა. კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო სატელეფონო არხების სიგრძის გეგმის შესრულებას 5,6 პროცენტი დააკლდა. საქალაქო სატელეფონო სადგურების ტევადობის გადიდების გეგმა შესრულდა 97,3 პროცენტით, სასოფლოსი — 104,0 პროცენტით.

IV. კაპიტალური მშენებლობა

გასულ წელს ახალ საწარმოთა მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოების, ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის გზით ამოქმედდა საწარმო სიმძლავრეები:

ელექტროენერგეტიკაში — ენგურჰესის 780 ათასი კილოვატი სიმძლავრის სამი აგრეგატი, 46 ათასი კილოვატი სიმძლავრის ვარციხის ჰიდროელექტროსადგური, 35 კილოვოლტი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები — 295,2 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზი სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისათვის: 6-20 კილოვოლტი ძაბვისა — 540 კილომეტრი, 0,4 კილოვოლტი ძაბვისა — 970 კილომეტრი; 35 კილოვოლტი და მეტი ძაბვის სატრანსფორმატორო სადაბლებელი ქვესადგურები — 163 ათასი კილოვოლტ-ამპერი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის საათში 220 ტონა ორთქლის გამოსამუშავებელი ორთქლის ქვაბები;

ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში — სამგორისა და თელეთის საბადოების 5 სადაზვერვო და საექსპლოატაციო ჭაბურღილი;

შავ მეტალურგიაში — 380 ათასი ტონა მანგანუმის მოპოვებისა — „ჭიათურმანგანუმის“ კომბინატის მაღაროებში;

ნავთობქიმიურ მრეწველობაში — ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის 3930 ტონა ყალიბური და უყალიბო ტექნიკური რეზინის ნაწარმის გამოშვებისა — ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხანაში;

მანქანათმშენებლობაში — 0,5 მილიონი მანეთის პროდუქციის წარმოებისა — ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში; აგებულია საწარმოო კორპუსი — 4,2 ათასი კვადრატული მეტრი ფართობისა რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში;

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში — 1,44 მილიონი მანეთის ავეჯის წარმოებისა — საწარმოო გაერთიანება „განთიადში“;

საშენ მასალათა მრეწველობაში — საწარმოო სიმძლავრეები: 45 ათასი ტონა ცემენტისა — რუსთავის ცემენტის ქარხანაში, 450 ათასი ტონა ქვიშისა — ქემფერის კვარციანი ქვიშის კარიერში, 70 ათასი კუბური მეტრი მარმარილოს ყორისა — გუმისთას მარმარილოსანი კირქვების საბადოში, 98,9 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების და ნაკეთობებისა — თბილისის, სოხუმისა და გაგრის სახლთსაშენებელ კომბინატებში;

კვების მრეწველობაში — 10,2 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავებისა, აქედან 2,4-2,4 ათასი ტონისა — ხობის, ჩხოროწყუს № 1, წალენჯიხის № 2 ჩაის ფაბრიკებში და 3 ათასი ტონისა — დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკაში, წელიწადში 18 მილიონი პირობითი ქილა ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების წარმოებისა, ცალში 3 ტონა ხორცისა — თბილისის ხორცკომბინატში, ცალში 0,52 ტონა ყველისა, დღე-ღამეში 31 ტონა პურფუნთუშეულისა, დღე-ღამეში 2,5 ტონა საკონდიტრო ნაწარმისა, დღე-ღამეში 24 ტონა მაკარონისა — თბილისის მაკარონის ფაბრიკაში, 2260 მილიონი ცალი სიგარეტისა; საექსპლოატაციოდ გადაეცა 5,8 ათასი ტონა ერთდროული შენახვის მაცივრები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 64,9 კილომეტრი მყარსაფარიანი საავტომობილო გზები, 23 ათასი ნომრისათვის გათვალისწინებული საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურები, 21 კილომეტრი საქალაქთაშორისო საკაბელო კავშირგაბმულობის ხაზი, მცხეთა-ზაჰესის 9,4 კილომეტრი მეორე რკინიგზის ლიანდაგი და 1026 გრძივი მეტრი გვირაბი, 5,5 მილიონი ანაბეჭდი ფურცლისათვის განკუთვნილი 3 რაიონული სტამბა, 1,2 ათასი კვადრატული მეტრი და 6 ათასი კუბური მეტრი საერთო-სასაქონლო საწყობები, ერთდროულად 10 ათასი ტონა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის შესანახი საცავები და სხვ.

სოფლის მეურნეობაში რეკონსტრუქციისა და ახალი მშენებლობის ფარგლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 9,8 ათასი ადგილისათვის ნავარაუდევი ძსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მეცხოველეობის სადგომები, 2,25 ათასი ადგილისათვის ნავარაუდევი ძროხის მეცხოველეობის კომპლექსები, 9,5 ათასი ადგილისათვის ნავარაუდევი ღორის სადგომები, 11,2 ათასი ადგილისათვის ნავარაუდევი ცხვრის სადგომები.

გაიზარდა მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრენი 116 ათასი მოქცეულით. ამოქმედდა დღე-ღამეში 11 ტონა მეცხოველეობის საკვებსაამქროები, 8,7 ათასი კუბური მეტრი ტევადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, მარცვლეულისა და თესლის საცავები — 0,8 ათასი ტონისათვის, ბოსტნეულ-კარტოფილსაცავები — 7,2 ათასი ტონა ერთდროული შენახვისათვის, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და კიროვანი მასალების საცავი მექანიზებული საწყობები 3,2 ათასი ტონა ერთდროული შენახვისათვის.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 14,7 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, გაწყლოვანდა სამოვრები 19,5 ათას ჰექტარ ფართობზე, ამოშრობილია 4 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში შეადგინა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით 1.590 მილიონი მანეთი, ანუ 1977 წელთან შედარებით 3 პროცენტით მეტი; სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებების მოცულობის წლიური გეგმა შესრულდა 100,1 პროცენტით.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ **საიჯარო სამუშაოთა მოცულობა** წლის განმავლობაში გაიზარდა 7 პროცენტით, გეგმა 102 პროცენტით შესრულდა.

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა 1977 წელთან შედარებით საიჯარო სამუშაოთა მოცულობა 6 პროცენტით გაზარდეს.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გაიზარდა 6,2 პროცენტით, რის მეოხებით მიღებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის 70 პროცენტი მატება.

ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული ყველა ბრიგადის 27 პროცენტზე მეტი.

განვლილ წელს გრძელდებოდა მშენებლობის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის მუშაობა. 1977 წელთან შედარებით სრულსაწყობი მშენებლობის მოცულობა 3 პროცენტით გაიზარდა, ახალი სერიის ტიპობრივი პროექტებით დიდბინიანი სახლების მშენებლობა — 46 პროცენტით. გაფართოვდა ეფექტიანი კონსტრუქციების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაში იყო ნაკლოვანებანი. უზრუნველყოფილი არ არის ცალკეული საწარმოო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემა, გრძელდებოდა სახსრების გაფანტვა, იზრდებოდა ცალკეული გამნაშენიანებლების დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, ზოგიერთმა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა საიჯარო სამუშაოთა, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის გეგმა.

V. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

სახალხო მეურნეობაში მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი 1,7 პროცენტით გაიზარდა.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 4 პროცენტით გადიდდა.

შესრულდა მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო-თვიური ხელფასის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდის დავალებანი.

1978 წელს მუშათა და მოსამსახურეთა **საშუალო-თვიურმა ფულადმა ხელფასმა** შეადგინა 134 მანეთზე მეტი, 1977 წლის 13[illegible] მანეთის ნაცვლად. ხელფასი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გაცემულ დახმარებასთან და შეღავათებთან ერთად გაიზარდა 184 მანეთიდან 190 მანეთამდე.

ღამით მუშაობისათვის დამატებითი შრომის ანაზღაურება დაწესდათ სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო უბნების ოსტატებს და გაუდიდდათ გზათა სამინისტროს რკინიგზებისა და მეტროპოლიტენების ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ მუშაკებს. ხორციელდებოდა ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა შრომის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ხელფასი მოემატა აგრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკებს.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 4,9 პროცენტით გაიზარდა. მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებულმა **დახმარებამ და შეღავათებმა** 1.683 მილიონი მანეთი შეადგინა და წლის მანძილზე 100 მილიონი მანეთით გაიზარდა.

დაწესებულია სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგის ცალკეული კატეგორიების მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის დამატებითი შეღავათები. 1978 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პირველი კლასების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში გაიზარდა 4[illegible] მილიონი მანეთით. გრძელდებოდა სახელმწიფო შინაგანი სესხების ობლიგაციების დაფარვა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 3718,5 მილიონი მანეთი და 1977 წელთან შედარებით 158,9 მილიონი მანეთით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა 100,6 პროცენტით შესრულდა.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეული საქონლის გაყიდვის მოცულობას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	გაყიდულია 1978 წელს პროცენტობით 1977 წელთან შედარებით
პურის პროდუქტები	105,5
ხორცი და ხორცის პროდუქტები	95,0
თევზი და თევზის პროდუქტები	119,0
კარაქი	99,7
მცენარეული ზეთი	101,0
მარგარინი	110,0
მოუხდელი რძის პროდუქცია	107,0
ყველი	89,5
კვერცხი	112,0
შაქარი	103,0
საკონდიტრო ნაწარმი	92,0
ჩაი	100,0
კარტოფილი	97,0
ბოსტნეული	134,0
ხილი და ციტრუსები	106,0
ტანსაცმელი, თუთრეული და ქსოვილები	98,0
ტრიკოტაჟის ნაწარმი	98,0
წინდა	95,0
ტყავის ფეხსაცმელი	91,0
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჯურჭელი	122,0
სპორტი და სინთეზური სარეცხი საშუალებები	105,0
ავეჯი	106,0
მაცივრები	102,0
სარეცხი მანქანები	105,0
ელექტრომტვერსასრუტები	126,0
საათები	105,0
ფოტოაპარატები	94,0
მოტოციკლები და მოტოროლერები	95,0
ველოსიპედები და მოპედები	129,0
რადიომიმღებები და რადიოლები	124,0
ტელევიზორები	113,0
მსუბუქი ავტომობილები	101,0

საქონელბრუნვის ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ საქონელზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა გაიზარდა 10,2 პროცენტით, აქედან სოფლად — 18[illegible] პროცენტით. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გეგმა შესრულდა.

სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ ააშენეს 26 ათასი ახალ კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 1.683 ათასი კვადრატული მეტრია. ამან საბინაო პირობები გაუუმჯობესა 144 ათას კაცს. ფართოდ შენდება საცხოვრებელი სახლები ახალი ტიპობრივი პროექტებით, რომლებიც ითვალისწინებს ბინების უკეთ დაგეგმარებასა და მეტ კომფორტს. საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმანათლებელ სკოლები თითქმის 33 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 6,3 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები — 1,1 ათასი კაცისათვის, ბევრი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

მიმდინარეობდა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოები. წლის მანძილზე გაზიფიცირებულია 38,3 ათასი ბინა, აქედან სოფლად — 16,3 ათასი ბინა. ბათუმში გაიხსნა სატროლეიბუსო მიმოსვლა.

გრძელდებოდა სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება.

სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია 1.453 ათასზე მეტი კაცი, აქედან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 975,2 ათასი, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 32 ათასი, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 53,8, უმაღლეს სასწავლებლებში 84,8 ათასი კაცი.

1978 წელს 100 ათასზე მეტმა ქალაშვილმა და ჭაბუკმა მიიღო საშუალო (ზოგადი და სპეციალური) განათლება, ამასთან 20 ათასმა კაცმა — წარმოების მოუწყვეტლივ.

სკოლებსა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში ამჟამად არის 98,4 ათასი მოსწავლე, რაც 12 პროცენტით მეტია, ვიდრე წინა წელს.

მოდმივ სკოლამდელ დაწესებულებებში არის დაახლოებით 16[illegible] ათასი ბავშვი, დაახლოებით 5 ათას ბავშვს სეზონურად მოემსახურნენ ბავშვთა დაწესებულებანი.

მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა 24 ათასზე მეტი კაცი შეადგინა.

1978 წელს სახალხო მეურნეობაში გაიგზავნა 29,1 ათასი სპეციალისტი, აქედან — 14,3 ათასი უმაღლესი განათლების და 14,[illegible] ათასი — საშუალო სპეციალური განათლების მქონე.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულია 15,3 ათასი კაცი, აქედან 10 ათასზე მეტი დღის განყოფილებებზე. საშუალო სპეციალურ სას

50 წლის წინათ გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“

სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ პროლეტარიატის დიდმა გელადმა განავითარა მარქსიზმელი მოძღვრება შრომითი შეჯიბრების შესახებ და ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების შემოქმედებითი, შეგნებული აქტიურობის გამოვლინების ფორმა. დიდი გელადის ეს ნაშრომი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა მთელ ქვეყანაში ფართოდაა გაშლილი მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

ყოველ ცისმარე დღეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საყვირი პირველი უხმობდა სამუშაოდ დედაქალაქის მშრომელებს. იყო რაღაც სიმბოლური ეს ამბავი. აქ, თბილისს რკინიგზის მაშინდელ მთავარ სახელოსნოებში დაირწა დედაქალაქის მუშათა რევოლუციური მოძრაობის აკვანი. აქ ამოქმედდა საქართველოში პირველი კომუნისტური და კომკავშირული უჯრედები, რომლებსაც სათავეში უდგნენ მეზნებარე რევოლუციონერები, შემდგომში ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები. აქ ჩაეყარა საფუძველი პირველ მასობრივ დემონსტრაციებსა და მანიფესტაციებს, და რკინიგზელ მუშათა კოლექტივი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის მედროშე გახდა.

მედროშე იყო მერეც, ახალი ცხოვრების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობის პირველი წლებიდანვე, როცა დამკვიდრული შრომის, მასობრივი შაბათობების, შრომითი შეჯიბრებების მაგალითი აჩვენა საქართველოს მუშათა კლასს. აქ შეისხა ხორცი პირველად სოციალისტურ საზოგადოებაში მუშათა შრომითმა შეჯიბრებამ, მასების შემოქმედებითი აქტივობის, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამოვლინების ახალმა ფორმამ, რომლის ორგანიზაციის ძირითადი, პრინციპები ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“

პირველი დამკვრელები, პირველი საბჭოთა ხუთწლედების შუქურები ამ სახელოვან კოლექტივში დაიბადნენ, პირველად აქ აუბეს მხარი ჩვენს ქვეყანაში უფართოეს პატრიოტულ მოძრაობას, რომელსაც დონბას ელმა მეშახტემ ა. სტაპანოვმა დაუდო სათავე. რკინიგზელ მუშათა კოლექტივში შრომობდნენ ლითონის ჩქაროსნული დამუშავების საკავშირო რეკორდსმენები, რომელთა სახელიც დღეს ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენს ისტორიაში: დავით ჭიჭინაძე — მჭედელი, გოლიათი კაცი, რომელმაც ორთქლმავლის მძიმე დეტალების ჩქაროსნული დამზადების ყველა რეკორდი მოხსნა, დღიური ნორმა ათჯერ გაადიდა, მიხეილ გეწაძე — ორთქლმავლის ქვაბების რემონტის უზადო ოსტატი, მთელს ჩვენს ქვეყანაში რომ უხმობდნენ დასახმარებლად, ვარდენ ჯაგეები — ხარატი — ორთქლმავლის გოგორწყვილების გამოთლის რეკორდსმენი, იაკობ ბაგაევი — მექვაბეთა ბრიგადირი, პირველი რკინიგზელი რაციონალიზატორი, ზაქრო ნადირაძე — აირშედუღების სპეციალისტი, პირველი „ლითონის დიდი ქირურგი“, როგორც მას მაშინ ეძახდნენ, გრიგოლ ანდრიანოვი — ორთქლმავლის ღუმელების სწრაფად შეკეთების საკავშირო რეკორდსმენი... ეს იყო პირველი თაობა. სტაპანოველთა მეორე თაობის პირველი მეთაური კი ლეგენდარული მჭედელი კონსტანტინე ილურიძე გახდა, რომელმაც მოხსნა თავისი მასწავლებლის რეკორდები და შრომით შეჯიბრებაში გაიყოლია არა მარტო მშობლიური კოლექტივი, არამედ მთელი საქართველოს შრომელთა მასები; კონსტანტინე ილურიძეს გვერდს უმშვენებდნენ ილია ჭუმბურიძე, ალექსანდრე მარგველაშვილი, ზაქრო ქარსელაძე, სპირიდონ ზადიკაშვილი, ვლადიმერ ბეფუაშვილი და მრავალი სხვა, ყველას ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა...

დიდი ტრადიციით სუნთქავს ამ საწარმოს კოლექტივი. შეიძლება ითქვას, მისი ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ისტორია გვიმზერს და გმირთა უამრავ სახელებს გვაცნობს, რომელთა ცხოვრებაც კომუნისტური იდეების უსაზღვრო ერთგულების, სამშობლოსათვის თავდადების და თავგანწირვის მაგალითებით არის სავსე.

და რაოდენ სასიხარულოა, რომ დღეს ამ სახელების მარტო გახსენება არ მოგვიწევს, რამდენიმე მათგანთან საუბარსაც შევძლებთ... დიახ, ძველი თაობა კვლავ მწყობრშია, სტახანოველურად ეჯიბრება ახალგაზრდობას, თავდადებით შრომობს გაახალგაზრდავებულ, ძირფესვიანად გარდაქმნილ საწარმოში, რომელსაც, დღეს ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხანა ეწოდება და ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს.

ყმთა ქროლვას ვერფერი შეაჩერებს. თაობები მიდიან, მითი შეჯიბრების გასაშლელად, რაც შეიძლება ნაყოფიერი და ეფექტიანი საქმიანობისათვის. და მტკიცდება ლენინური ანდაზა, რომ ამ უძველესი საწარმოს სრული გარდაქმნის, გაახალგაზრდავების პროცესი იმ ძველი თაობის სახელოვან წარმომადგენელთა თვალწინ ხდება, რომლებმაც შეგნებული შრომითი შეჯიბრების, საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითები მაშინდელ უძნელეს პირობებში გვიჩვენეს, როცა რკინას ხელით იმორჩილებდნენ და უმძიმესი დეტალები საკუთარი ზურგით გადაკრიჭნდათ.

დღეს მჭედლები, ხარატები, მჩარხავები, მბურღავები უახლეს ტექნიკას მართავენ. მთავრდება ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სრული რეკონსტრუქცია. ძველი საწარმოს შავი პრიმიტიული საამქროების ადგილზე ახალი თანამედროვე კორპუსები წამოიჭიმა. აქ ახლა სარემონტოდ აღარ შემოჰყავთ ძველი წევის ძალა — ორთქლმავალი... იგი ელმავალმა შეცვალა. ახლა აქ ამ მძლავრი მანქანების ელექტროძრავებს, ელექტრომოწყობილობას და მოტორვაგონად სექციებს არემონტებენ, და დღევანდელთან შედარებით ალბათ მეტად მიამიტურადაც კი მოგვეჩვენება მაშინდელი მიღწევები, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ მაღალი სულით, მგზნებარებით და პატრიოტული შეგნებით, იმ ბეური რეკორდების დამყარებისათვის დაძაბულ შრომითს შეჯიბრებას რომ ახლდა თან, ფესვს სუნთქავს უძველესი საწარმოს გაახალგაზრდავებული კოლექტივი.

თაობები შეიცვალა, მაგრამ მეკვიდრეობად დარჩა ის შეგნებული შეჯიბრება, რომელიც დიდმა ლენინმა იწინასწარმეტყველა, რომ მომავალში სოციალიზმის მშენებლობის ისტორია კიდევ უფრო გამდიდრდება მასების ენთუზიაზმის მაგალითებითო.

ამ შეგნებული შრომითი პაექრობის ძველი და ახალი თაობების მემკვიდრეობითობის უწყვეტი თანმიმდევრობის მაგალითია თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელსაც ჩვენ ამ დღეებში ვესტუმრეთ, როცა გაახალგაზრდავებული ქარხნის მშრომელები ახალი ენთუზიაზმით შეუდგნენ შრომას და შეჯიბრებას ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებას თან ახლავს ტრადიციების დიდი ერთგულებაც და თანამედროვე პირობების მოთხოვნათა შესრულების დიდი პასუხისმგებლობაც. ამის შესახებ გვესაუბრნენ საწარმოს ვეტერანები, ძველი სტახანოველები, და ახალგაზრდები, რომლებმაც შეჯიბრების ესტაფეტა ეს-ეს არის მიიღეს.

ვლადიმერ ბეფუაშვილი: გზა, რომელიც ჩემი თაობის ადამიანებმა წარმოებაში განვლეს, მთლიანად ემთხვევა ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილი მშრომელთა შესანიშნავი მოძრაობის, სოციალისტური შეჯიბრების იმ ცნობილ ეტაპებს, როგორიც არის დამკვრელობა, სტახანოველური მოძრაობა და მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის.

ამ საწარმოში მუშაობა ოციანი წლების ბოლოს დავიწყე. ის-ის იყო ხდებოდა გადასვლა დამკვრელობიდან სტახანოველურ მოძრაობაზე. ეს იყო ეპოქალური დიდი, თვისობრივი ნახტომი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. სტახანოველური მოძრაობა არ ეჯაყოფილდებოდა მარტო გეგმის შესრულებით, მუშის კეთილსინდისიერი შრომით, არამედ ჩვენგან მოითხოვდა ნოვატორობას, თაოსნობას, ახალ ენთუზიაზმს, მახსოვს, როცა ცნობილი მჭედელი დავით ჭიჭინაძე მოსკოში სტახანოველთა პირველ საკავშირო შეკრებაზე მიიწვიეს, მან ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში საჯაროდ პირობა დასდო, რომ აქამდე გეგმით გათვალისწინებული ხუთი ხელსახი ნაცვლად ორთქმავლის ათ ხელსახ გააკეთებდა. მოსკოვიდან ჩამოსულისთანავე შეუდგა კიდეც თავისი განზრახვის განხორციელებას, მაგრამ მხოლოდ რვა ცალის გაკეთება შეძლო. დავითს უკანდახევა არ შეეძლო, და დაიწყო იმ გზების ძიება, რომელიც მას წარმატებას მოუტანდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა მან სტაყვის პირნათლად შესრულება.

ალექსანდრე მარგველაშვილი: სტახანოველური მოძრაობის ძვირფას რელიკვიად დამრჩა საათი, რომელიც 1935 წელს მიძღვნეს წარწერით შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის. დიდი იყო ენთუზიაზმიც და შრომითი ეფექტიც, მაგრამ თვითონ განსაკუთრა ძნელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა — ოსტატს უეჭველად უნდა გაეკლო ასეთი გზა: მჭედელი — ზეინკალი — ხარატი. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ საკუთარი იარაღი შენვე გამოგეჭედა. დაზგა თუ გაფუჭდებოდა, თვითონვე უნდა შეგეკეთებინა.

სოციალისტური შეჯიბრების დღევანდელი ფორმა—მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის სავსებით შეესაბამება ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღევანდელ დონეს. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ადამიანების შეგნება — თავისი საქმიანობით ხელი შეუწყოს ქვეყნის წინსვლას.

ამას წინათ, როცა ჩვენს საამქროში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შეაჯამეს და გამარჯვებული გამოავლინეს, ხარატმა ე. ბერიძემ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი შრომა ჯეროვნად ვერ შეაფასეს. მე ამ ფაქტში იმას ვხედავ, რომ ყოველი შრომელი ისწრაფვის — არ დარჩეს შეუმჩნეველი მისი თავდადება და ღვაწლი დედასამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლეონიდ ანდრიანოვი: სოციალისტური შეჯიბრების სიკეთე მარტო შრომის ნაყოფიერების გაზრდა როდი, არამედ იმის შეგნებაც, რომ დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებ. როცა დაზგასთან დგახარ და ყოველდღიურად ცდილობ რაც შეიძლება მეტი საქმე გააკეთო, ამ შემთხვევაში იმას კი არ ფიქრობ როგორმე სხვას აჯობო, არამედ შენი სნდოსის წინაშე პირნათელი იყო. ეს ერთი შეხედვით სტიქიური მოქმედება ქვეცნობიერად გამოხატავს ჩვენს კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი. ეს არის სოციალისტური შეჯიბრების ძალაც.

ზურაბ ფირცხალაიშვილი: ჩემი მასწავლებლები ალექსანდრე მარგველაშვილი და ლეონიდ ანდრიანოვი იყვნენ; მათი ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ახალგაზრდობისათვის. მე იმის ცოცხალი მოწმე ვარ, თუ როგორ ისხამდა და ისხამს ხორცს სოციალისტური შეჯიბრების მაღალი დანიშნულება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. როგორც მექანიკური საამქროს პარტბიუროს მდივანი, ვხელმძღვანელობ და უშუალოდ თვალ-ყურს ვადევნებ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას ჩვენს მიკროკოლექტივში. დღევანდელი მუშის მაღალი შეგნება, საქმის სიყვარული, კოლექტივის ინტერესებიდან გამომდინარე პირადი ინტერესები, კოლეგიალობა და შემოქმედებითი შრომითი პაექრობა აღტაცებას და პატივისცემას იმსახურებს. ჩვენი საამქროს ორი მბურღავის გიორგი წამალაშვილისა და ოთარ ლურსამანაშვილის მაგალითი მიდდა დაგისახლოთ. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელი კომისია მუდამ გასაკვირშია, იმდენად მცირე უპირატესობით ხდება ყოველთვიურად იმის განსაზღვრა გ. წამალაშვილია გამარჯვებული თუ ო. ლურსმანაშვილი.

ასეთი მაგალითი ბევრია. ეს უდავოდ მთელი კოლექტივის ერთიან სწრაფვასა და მის წევრთა საქმიანობის თანაბარ დონეზე მიგვანიშნებს...

ჩვენი დედაქალაქის ამ უძველესი და მდიდარი ტრადიციების მქონე საწარმოს მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს მთელი ჩვენი სოციალისტური წყობის სიკეთეს, ამ წყობილების წიაღში წარმოშობილი შესანიშნავი მოძრაობის — მშრომელთა მასების სოციალისტური შეჯიბრების ძალას და ცხოველმყოფელობას.

სოციალისტური შეჯიბრებისათვის დამახასიათებელი მილიონთა ნოვატორობა და თაოსნობა, ძველი ნორმების მსხვრევა და ახალი გზის გაკაფვა, ყოველდღიური შეგნებული დამოკიდებულება საქმისადმი, თითოეული მშრომელის მიერ პირადი შრომითი წვლილის შეფასება საზოგადოებრივი საზომით, ეს ის წანამძღვრებია, რომლებიც ქმნის საფუძველს კოლექტიურ-ინდივიდუალური თვითაღრდისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების, თვალსაჩინო შრომითი მაჩვენებლების მიღმა წარმოგვიდგება სწორედ მთავარი და ძირითადი — საბჭოთა ადამიანის სულიერი დინამიზმი, მისი ღრმა შეგნებულობა და ენთუზიაზმი.

სტახანოველური მოძრაობის პიონერთა პირველ მიღწევას—თვეში ბრიგადის ყოველ წევრზე 30 ტონა ქვანახშირის მოპოვებას — ათეული წლების შემდეგ, 1978 წელს უკრაინელი შრომის გმირის ვ. მურზენკოს ბრიგადამ ორმოცდაოთხჯერ გადააჭარბა, ხოლო ცოტა უფრო გვიან სოციალისტური შრომის გმირის გ. სმირნოვის ბრიგადამ 50-ჯერ და მეტად.

ცხადია, ამის გაკეთება ტექნიკური პროგრესისა და დღევანდელი მექანიზაციის დონის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იგი გვიჩვენებს კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მზარდ აქტიურობას, მის პროფესიულ ოსტატობასა და განათლების დონეს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეგნებულობას.

და სწორედ შრომისადმი ასეთი შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავებას მოითხოვდა ვ. ი. ლენინი, ამის აუცილებელ საშუალებად კი შრომითი შეჯიბრების ფართოდ გაშლას თვლიდა.

პროლეტარიატის დიდი ბელადის ეს წინასწარხედვაც ცხადზე უცხადესი გახდა.

ნ. ჯაველიძე,
რ. ჭელიძე,

* * *

სურათზე: თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა სხვადასხვა თაობის ღირსეული წარმომადგენლები (მარცხნიდან): ხარატი ა. ზარდიაშვილი, გამმართველი ა. მარგველაშვილი, ხარატები გ. გაჩეჩილაძე, ზ. ფირცხალაიშვილი, მხეხავი ლ. ანდრიანოვი და მჭედელი კ. ილურიძე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ოციალიზმი არა თუ არ აჭრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყენილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჭყლეტავდა და ახშობდა.

ვ. ი. ლენინი.

თვით საქმემ გამოგაჩინოს

შეჯიბრება, მემკვიდრეობითობა, თაობები

შეხვედრა რომში

რომი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება იტალიაში, ეწვია ვატიკანს და ესაუბრა პაპს იოანე-პავლე მეორეს.

ამერიკა-თურქეთის მოლაპარაკება

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, ანკარაში დაიწყო ამერიკა-თურქეთის მოლაპარაკება.

პრესის ცნობების თანახმად ამ მოლაპარაკების დროს ამერიკის მხარე თურქეთს სთავაზობს ახალი სამხედრო ხელშეკრულების დადებას. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთის მთავრობისაგან მოითხოვს თანხმობას, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზებსა და სხვა სამხედროო ობიექტებს „ფართო ავტონომია“ მიენიჭოს. ამის სანაცვლოდ „ენერგეტიკული დახმარება“ აღთქმულ „დახმარებას“, კერძოდ, ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფი ეწვევა ანკარას. ამასთან, ამერიკელ ოფიციალურ პირებს, ეს ეტყობა, ეშინიათ, ეროვნული ფრონტის ლიდერ ალ. ფანტასმაგორიოს „ფანტასმაგორიად“ ქცევა, ეშინიათ

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ნორჩი თაობის მოამაგე

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ხუტა ბერულავა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა — ეს ერთბაშად ჩადგა ქართული პოეტური სიტყვის იმ ოსტატთა რიგში, რომლებიც ერთნაირი წარმატებით წერენ დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც. იგი ავტორია არა ერი სბავშვო წიგნისა, რომელთაგან უკანასკნელი — „აჩიტა და გოგიტა“ — სულ ახლახან გამოსცა „ნაკადულმა“. მასში ახალთან ერთად წარმოდგენილია პოეტის ადრინდელი რჩეული საყმაწვილო ნაწარმოებებიც. ასე რომ, წიგნი საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა სბავშვო პოეზიაში ავტორის მოღვაწეობაზე. პოეტმა ამის შემდეგაც გამოაქვეყნა ჩვენს პრესაში მშვენიერი სბავშვო ლექსები ახალი წიგნიდან, რომლისთვისაც მას „ჩიტის რძე“ უწოდებია.

„აჩიტა და გოგიტა“ ორი განყოფილებისაგან შედგება: პირველს ეწოდება „აჩიტა, ბაჩიტა და მათი მეგობრები“, მეორეს — „წყაროს თავგადასავალი“. ამ დაყოფას საფუძვლად ასკობრივი პრინციპი უდევს: პირველ განყოფილებაში მოთავსებული ლექსები სკოლამდელებისათვის არის განკუთვნილი, მეორე კი შედარებით მოზრდილს — სასკოლო ასაკის მკითხველს გულისხმობს. ამავე დროს თავისი თემატიკით, იდეური მიზანსწრაფვით, ბავშვის სულიერი სამყაროს ცოდნით ორივე განყოფილება ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და ავსებს, ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს.

ღრმა პატრიოტულ სულისკვეთებას ეღვიძებს ნორჩ მკითხველს პირველივე ლექსი „შენ, პატარა მეგობარო“, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა აქ ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი ფერებით არის დახატული.

ხალხის გული, ქვეყნის ზრუნვა,
ცაში მზე და მთაში წყარო,
დედამიწის ნელი ბრუნვაც
სულ შენია, საფიცარო.
არ დაკარგო ერთი წუთიც...
მზე, სიცოცხლე, მდელო,
წყარო,
ყველაფერი შენ გეკუთვნის,
შენ, პატარა მეგობარო!

ამ ლექსში პოეტი პატარა მეგობრისადმი მიმართვის ხერხს იყენებს, სხვაგან კი თვითონ ბავშვს ალაპარაკებს და აქაც დაუბრკოლებლივ აღწევს მიზანს — ბუნების ნაცნობ და მიმზიდველ სურათებთან ანალოგიის გზით უხერგავს ნორჩ მკითხველს შობლიური ენის სიყვარულს. ლექსი რომლის სათაურია „მე ყველაფერს მირჩევნია“, თავდან ბოლომდე ისე არის შეკრული და ერთ წინადადებად ჩამოქნილი, რომ მთლიანად უნდა მოვიყვანოთ:

აპრილს უყვარს ია ლურჯი,
მაისს — წვიმა ნანწკარა,
კლდეს — მდინარის შეძახილი,
ჯეჯილს — წყარო ანკარა,
ბალას — სტვენა ბულბულისა,
ტყის შრიალში ჩართული,
მე ყველაფერს მირჩევნია
ჩემი ტკბილი ქართული!

ჩვენს წარმოდგენაში მშობლიური ენის სიყვარული განუხრელად არის დაკავშირებული პირველ სანბანო წიგნთან, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენასთან“, რომლის მეასე წლისთავიც დიდი ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა. „დედა ენას“ და მის უკვდავ ავტორს ეძღვნება ხუტა ბერულავას რამდენიმე ლექსი „იაკობ გოგებაშვილი“, „გაცილება სკოლაში“, „მე და ჩემი „დედა ენა“, „აი ია“. ეს არ არის უბრალოდ ცალის მოსახდელად დაწერილი საიუბილეო ლექსები; მასში ავტორი დიდი წინაპრის ღვაწლის აღნიშნულთან ერთად თვით დედაენისადმი მოწიწების გრძნობას უღვივებს ნორჩ მკითხველს.

საერთოდ, ხუტა ბერულავას ბევრი ლექსი ეძღვნება წიგნს, სკოლას, სწავლას, საყვარელ მასწავლებელს.

„ეს ჭრიამული მეც არ მასვენებს, შორეულ დღეთა ერკოლას მახსენებს“, — ამბობს პოეტი და მართლაც დიდი სიყვარულით იგონებს თავის ბავშვობას და მშობლიური სოფლის სკოლას, სადაც ხის კედლები ქარი ატანდა, მაგრამ მოსწავლეები მაინც სულგანაბული ისხდნენ და უსმენდნენ მასწავლებლის ჯადოსნურ ხმას. ამგვარი ავტობიოგრაფიული დეტალები მეტ ინტიმურობას ანიჭებს ლექსებს და უფრო დამაჯერებელს ხდის პოეტია რჩევა-დარიგებას: „არ დაივიწყოთ, რომ ქვეყანაზე წიგნს ვერაფერი შეცვლის“.

ასევე ნათლად, გულში ჩამწვდომად ესაუბრება პოეტი ნორჩ მკითხველს ჩვენი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, მრავალ აქტუალურ პრობლემაზე, იქნება ეს მშვიდობისათვის ბრძოლა, ბუნების დაცვა თუ ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა.

ხუტა ბერულავა იცნობს ბავშვის ფსიქოლოგიას, სწვდება მოზარდის ხასიათს და ოსტატურად იყენებს ამა თუ იმ ნიუანსს ნორჩი პერსონაჟების დასახასიათებლად, მათი ყეთილშობილური გრძნობების წარმოსაჩენად. ასე ვეცნობით პატარა ლიას, მსახიობობაზე რომ ოცნებობს, თავხოტორა მაიკოს, ბიჭს რომ დამსგავსებია და თავი მაია წყნეთელად წარმოუდგენია, ფეხბურთით გატაცებულ ბიჭებს, ნიკოსა და სიკოს, რომლებისთვისაც პელე და კოპა შეურქმევიათ.

მკითხველს უთუოდ დაახსომდება სბავშვო ბაღში მიმავალი მზეონა, თოჯინებს რომ არიგებს, შეიყვარეთ ერთმანეთი, არ იჩხუბოთ, არ იდავოთო. და სამაგიეროდ ჰპირდება: „ვინც ამ რჩევას გაიგონებს და ჭკვიანად ითამაშებს, შინ ზოგესაც დავბრუნდები, მას ვაჩუქებ წითელ ვამლებს“. ანდა როგორ დასტრიალებს თავს პატარა აჩიტა თავის უმცროს ძმას გოგიტას. ჩაძინებული გოგიტა, რაგორც ჩანს, უფროსებმა ცოტა ნნით აჩიტას დაუტოვეს სამეთვალყურეოდ. ბიჭმა გაიღვიძა და ტირილი მორთო. აჩიტა მზადაა ყოველგვარი სურვილი შეუსრულოს ძმას, ოღონდაც მან არ იტიროს.

ასე დილაადრიან
რა გატირებს გოგიტა?
ფაფის ჭამა არა გსურს?
წყაროს წყალი მოგინდა?
არც წყაროს წყალს ინებებ?
მაშ აქ ვიდგე, ლოგინთან?
თანახმა ვარ, გოგიტა,
აღარ წავალ, გოგიტა!

ეს ოთხსტროფიანი ლექსი თავიდან ბოლომდე ერთ რითმზეა აწყობილი, რაც სასიამოვნო მუსიკალურ ეფექტს ქმნის. ასევე მთლიანად ერთი რითმით არის შეკრული, მაგრამ რიტმულად განსხვავებული „სტუმრობანა“ და „პაპამ კომში მომიტანა“.

თუ ამ ლექსებში რითმა თავიდან ბოლომდე უცვლელია, სხვაგან ერთი და იგივე რითმა განსაზღვრული ინტერვალის შემდეგ მეორდება. ასეა სახელდობრ, ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ლექსში „შენ, პატარა მეგობარო“, რომლის ხუთი სტროფიდან პირველი, მესამე და მეხუთე ერთ რითმას ეყრდნობა. ამგვარი გამეორება უადვილებს ნორჩ მკითხველს ლექსის ათვისებას და მეტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მას.

ხუტა ბერულავას პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია თხრობის სიდინჯე, ეპიკურობა. მისი პოემები „რუსული გული“, „თბილისის თანამგზავრი“, „ფინა თორტიზელი“, „ბზები და ვარსკვლავები“ და სხვანი ცნობილია მთელ საბჭოთა პოეზიაში. ეს თვისება კარგად ჩანს პოეტის სბავშვო ნაწარმოებებშიც, კერძოდ პოემებში: „აჩიტა და ბაჩიტა“, „ზვიადი კალია და მისი ზღაპარი“, „ზაზას ცხენი“ და სხვანი.

ყოველივე ამასთან ერთად არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს, რომ ხუტა ბერულავას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებაში თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც. ის დიდხანს სათავეში ედგა გამომცემლობა „ნაკადულს“ და ბევრ საინტერესო სიახლეს დაუდო სათავე, აქამდან ასევე წარმატებით უძღვება გამომცემლობა „განათლებას“. ხუტა ბერულავა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირის ახალგაზრდული ლიტერატურის სექციას. ის არის საკავშირო მწერალთა კავშირის ცენტრალური საბჭოს წევრი სბავშვო ლიტერატურის დარგში, მრავალი სარედაქციო საბჭოსა და კოლეგიის წევრი. ქართული სბავშვო მწერლობის საქმეში ცოტად თუ ბევრად ჩახედული კაცი შეუძლებელია არ იცნობდეს და არ აფასებდეს მწერლის ასეთ ნაყოფიერ და მრავალმხრივ მოღვაწეობას.

ზ. ჭუმბურიძე,
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ენგურელ ჰიდრომშენებელთა მთის დაბა ჯვრის ერთ-ერთ ქუჩაზე.
თ. ჭეიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის საერთაშორისო...

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენები.

საქართველოს ნაკრებში 19 მოჭიდავეა. ხალიჩაზე ვიხილავთ მ. მაკასარაშვილს (74 კგ), ვ. მარშანიას (82 კგ), რ. ხუტაბას (100 კგ), მ. მერმანიშვილს (100 კგ) და სხვებს. გამოვლენ აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი და სსრ კავშირის ნაკრების სხვა უძლიერესი ათლეტები.

ნანავ გაიმარჯვა

იუგოსლავიის ქალაქ კულაში დაიწყო ევროპის თასის გათამაშება მოჭადრაკე გოგონათა შორის. 15 მოჭადრაკე დაყოფილია სამ ჯგუფად. ჯგუფებში თითოეულ მოჭადრაკეს 4 პარტიის თამაში მოუწევს. ამის მერე თხუთმეტივე სპორტსმენი შვეიცარიული სისტემით განაგრძობს ბრძოლას ხუთ ტურად (ჯგუფებში მოპოვებული ქულებიც ჩათვლაში შეგა).

შარშანდელ, ასეთსავე ტურნირში გამარჯვებულმა თბილისელმა ნანა ოხოლაძემ ჯგუფური ასპარეზობისას პირველ ტურში დაამარცხა რუმინელი ვ. ილიე.

ორი ლიდერი

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის მეხუთე ტურის გადადებული პარტიის დამთავრების შემდეგ ულფ ანდერსონს (შვეცია) 3,5 ქულა გაუხდა და დაეწია ლევ პოლუგაევსკის (სსრ კავშირი), ანდერსონმა დაამარცხა ი. ნიკოლაევი (იუგოსლავია). ამრიგად, მეექვსე ტურის წინ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს — პოლუგაევსკი და ანდერსონი. შეგახსენებთ, ნონა გაფრინდაშვილს 2,5 ქულა აქვს.

პროგნოზი მატჩის წინ

— **ამერიკის** შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მოკრიკეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული შეხვედრები გაიმართება ლას-ვეგასში (27 იანვარს), ლაფაიეტში (1 თებერვალს) და ოლბანში (3 თებერვალს), — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების კრიკეს ფედერაციის წარმომადგენელმა დონალდ ჰალმა.

ჰალმა ისიც თქვა, რომ სსრ კავშირი ყოველთვის ძლიერი გუნდით ასპარეზობს და ჩემი აზრით, ამერიკელი სპორტსმენები თითოეულ მატჩში 2-3 შეხვედრაზე მეტს ვერ მოიგებენენ.

შეიქმნა კარატეს ფედერაცია

მოსკოვი გაიმართა დამფუძნებელი კრება, რომელზეც შეიქმნა სსრ კავშირის კარატეს ფედერაცია. კრებაზე დელეგატებად წარგზავნილი იყვნენ ქვეყნის ორმოცდაათამდე ქალაქის კარატეს სკოლების წარმომადგენლები, რაც მოწმობს, რომ დროულია ახალი ფედერაციის შექმნა და საკმაოდ ფართოა ახალგაზრდობის ინტერესი ამ სახეობისადმი.

ბოლო დრომდე ახალი სახეობის ჭიდაობის პოპულარიზაციასა და ათვისებასთან დაკავშირებულ მუშაობას სტიქიურად ახორციელებდნენ ცალკეული მოყვარულები და ენთუზიასტი მწვრთნელები, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებლად მოქმედებდა, ისე, რომ არ ჰქონდა ერთიანი წესები და აპრობირებული მეთოდური მითითებები. მხოლოდ ახლახან სსრ კავშირის სპორტკომიტეტთან შეიქმნა კარატეს კომისია, რომელიც ეწეოდა მოსამზადებელ მუშაობას ცალკეულ სკოლებსა და კლუბებს შორის კავშირურთიერთობის მოგვარებისათვის, საძირკველს უყრიდა ახალ ფედერაციას.

გადაწყდა, რომ სსრ კავშირში განვითარდება მხოლოდ უკონტაქტო ჭიდაობა კარატე, ესე იგი ჭიდაობა დარტყმების მიუყენებლად, მხოლოდ მათი აღნიშვნით. ცნეს, რომ კარატეს კონტაქტური სტილი (დარტყმების მიყენებით) არ შეესაბამება ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის ჰუმანურ მიზნებს და ამიტომ აკრძალულია.

ახალი ფედერაციის პირველი საქმიანი აქტი გახდა მოსკოვში ახალი სახეობის ჭიდაობის სპეციალისტებისათვის საკავშირო სემინარის გამართვა. ეს სემინარი მოეწყო მოსკოვის ყველაზე დიდ სკოლაში — „ფრუნზენეცში“, რომელსაც ხელმძღვანელობს ენთუზიასტი მწვრთნელი, ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი შტურმინი. კარატეს შესწავლასა და პოპულარიზაციას შტურმინმა თხუთმეტი წელი მოაბმარა. მისი „ფრუნზენეცი“ ათასობით მოჭიდავეს აერთიანებს. გადაწყვეტილია სწორედ „ფრუნზენეცის“ ბაზაზე შეიქმნას ჭიდაობა კარატეს ცენტრალური სკოლა. იგი სპეციალისტთა მომზადების მთავარი მეთოდური ცენტრი გახდება.

„ფრუნზენეცი“ გამართული პირველი სემინარის დამთავრების შემდეგ თითოეული მისი მსმენელი ჩაბარებს შესაბამის გამოცდას და მიიღებს კარატეს მწვრთნელის ოფიციალურ წოდებას.

გათვალისწინებულია მოეწყოს პირველი საკავშირო შეჯიბრება ახალი სახეობის ჭიდაობაში 1979 წელს, ხოლო შემდგომში დაისვას საკითხი ევროპის კარატეს კავშირის წევრად საბჭოთა ფედერაციის მიღების შესახებ.

თავიანთი ხელოვნება მოსკოვში, ფიზკულტურის ინსტიტუტში, უჩვენეს ცნობილმა იაპონელმა მოჭიდავეებმა მასაიუკი ხისატკიმ და იუჩი ნეგიჩიმ. ისინი გამოვიდნენ ინსტიტუტის სტუდენტთა, მასწავლებელთა, კარატეს მწვრთნელთა წინაშე და უჩვენეს ძველი და თანამედროვე კატა — ორთაბრძოლა წარმოსახვითს მეტოქესთან.

კ. ვიგენოვი,
(ახალი ამბების სააგენტო).

„დინამო“ ტუნისში მიემგზავრება

თბილისი „დინამოს“ ფეხბურთელებმა ლესელიძეში თავიანი უკანასკნელი საკონტროლო მატჩი უჩვეულო პირობებში გამართეს: შეხვედრის წინა დღეს მათ მოსკოვში, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა საკავშირო სემინარში მიიღეს მონაწილეობა, მეორე დღეს ლესელიძეში დაბრუნდნენ, იმავე დღეს ითამაშეს კრასნოდარის „ყუბანთან“ და თბილისს გამოემგზავრნენ. მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 1:0. გოლი მეორე ტაიმში გაიტანა ყიფიანმა. „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელბაძე), ყიფიანი, შენგელია.

„დინამო“ 29 იანვარს მოსკოვიდან ტუნისში გაემგზავრება. თბილისელები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს გამართავენ ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან — ახალგაზრდულთან და პირველ გუნდთან, რომელმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

ნაკრებს დაუგრუნდა

ცნობილი მწვრთნელი მილიან მილიანჩი კვლავ ჩაუდგა სათავეში იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელსაც იგი 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატის დროს ხელმძღვანელობდა. აღრე იგი 10 წლის განმავლობაში იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ ავარჯიშებდა, ხოლო 1974 წლის შემოდგომიდან ესპანეთის „რეალ-მადრიდს“ უძღვებოდა.

უკანასკნელ წლებში იუგოსლავიის ნაკრები საერთაშორისო სარბიელზე ძველებურად არ ბრწყინავს. გუნდმა ვერ გაიკაფა გზა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, ახლა კი ევროპის პირველობაზე მესამე შერჩევით ჯგუფში ზედიზედ ორი მატჩი წააგო (ესპანელებთან საკუთარ მინდორზე — 1:2 და რუმინელებთან სტუმრად — 2:3).

გაზეთი ამხილებს

დასავლეთ ბერლინის გაზეთი „ვარხაიტი“ იუწყება, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) მისამართით მრავალი საპროტესტო წერილი მიდის ამ ორგანიზაციის დადგაწყვეტილების გამო, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში არ დაუშვან ის ევროპელი და ამერიკელი ფეხბურთელები, რომლებმაც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა.

„ფიფას გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ოლიმპიადის იდეასა და მის წესებს. ხომ თამაშობდნენ მეხიკოს, მიუნხენისა და მონტრეალის ოლიმპიადებში ის ფეხბურთელები, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში და მოსკოვში რატომღა უნდა იყოს სხვანაირადო?“ — აღნიშნავს გაზეთი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1979 წლისათვის:

ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში წარმოებას მოწყვეტით: პარაზიტოლოგია — 1 ადგილი, კერძო ზოოტექნიკა (მეძროხეობა) — 1 ადგილი, ეკონომიკა, მართვის და დაგეგმვის ორგანიზაცია (ეკონომიკა) — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებას მოწყვეტით მიიღებიან 35 წლამდე მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და სულ ცოტა 2 წლის მუშაობის სტაჟი არჩეული სპეციალობით. 1978 წელს კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სააასპირანტო რეკომენდაციით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები:

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი (ნოტარიულად შემოწმებული) და დანართი; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; ავტობიოგრაფია; კადრების აღრიცხვის ფურცელი და 3 ფოტოსურათი; გამოქვეყნებული შრომების სია (ისინი, ვისაც გამოქვეყნებული შრომა არა აქვთ, წარმოადგენენ სამეცნიერო მოხსენება-რეფერატს სპეციალურ საგანში); წარმოების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან სასპირანტო რეკომენდაცია; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს სპეციალურ საგნებში, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

საბუთები მიიღება 1979 წლის 10 თებერვლამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 თებერვლიდან.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

მისამართი: 380107, თბილისი — კრწანისი, ავტობუსი № 23.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს გაზაზე არსებული თბილისის

74-ე ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბების ინდივიდუალური კერვის სპეციალობაზე.

სწავლების ხანგრძლივობა 1 წელია. სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები 16-დან 30 წლამდე.

სასწავლებელში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით. რაიონიდან ჩამოსული გოგონები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სასწავლებელში სწავლის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. დახასიათება (სკოლიდან ან სამუშაო ადგილიდან), 4. ავტობიოგრაფია, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 7. 4 ცალი ფოტოსურათი (3X4).

განცხადებები მიიღება 28 თებერვლამდე. სწავლა დაიწყება 1 მარტს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი 68, საქარხნო რაიონი, ჭიჭინაძის ქ. № 10. ავტობუსი: № 10 — მეტრო „სამგორიდან“, № 16 — „კოლმეურნეობის მოედნიდან“, № 51 — მეტრო „26 კომისრიდან“, № 5 — სამარშრუტო ტაქსი — კოლმეურნეობის მოედნიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თბილისის

№ 27-ე ტექნიკური სასწავლებელი



აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979 წლის I კვარტალში შემდეგ სპეციალობებზე:

ფეხსაცმლის ზედაპირის შემკერი, ფეხსაცმლის შემკერი ნაკადის ოსტატის კვალიფიკაციით, ზეინკალ-შემკეთებელი ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ჰაბუკები.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ 70 მანეთ სტიპენდიას.

მოსწავლე, რომელსაც ყველა საგანში ექნება შეფასება ფრიადი, მიიღებს 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას. ამასთან ერთად მოსწავლეები მიიღებენ საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულ ახალგაზრდებს ეძლევათ 70 მანეთი სტიპენდია, სწავლების ვადა მათთვის შემცირებულია.

მოსწავლე გოგონები ძირითად სპეციალობასთან ერთად შეისწავლიან ქალის საზაფხულო კაბის კერვასა და მდივან-შემნქანეობას.

სასწავლებელში სწავლების ვადა 10,5 თვეა და ითვლება საერთო მუშაობის სტაჟად.

სასწავლებლის კურსდამთავრებულთ, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ კარგი და ფრიადი შეფასება და წარმატებით ჩააბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, პედაგოგიური საბჭო აძლევს რეკომენდაციას უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე შესასვლელად და დაიშვებიან საგალდებულო სტაჟის გარეშე, ხოლო დანარჩენი საერთო წესის მიხედვით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ ატესტატი. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით პროფესიის თანრიგის შესაბამისად.

სასწავლა სასწავლებელში წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: განცხადება, საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 6 ცალი ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), დახასიათება, პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (უნდა წარადგინოთ პირადად).

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 9-დან 5 საათამდე გარდა კვირისა.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 6. ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“, ტრამვაი № 7, ავტობუსი № 16, 51, სამარშრუტო ტაქსი № 10 (ლენინის მოედნიდან). ტელეფონი 74-34-67.

„ბკ-1500“ „ბკ-2500“

ბაქოს წარმოების კონდიციონერები განკუთვნილია საცხოვრებელი, სასამსახურო და სხვა შენობებისათვის.

ამ მოდელების კონდიციონერები აგრილებს ოთახში ჰაერს; ავტომატურად ინარჩუნებს მიცემულ ტემპერატურას; ჰაერს ასუფთავებს მტვრისაგან; — ისრუტავს ზედმეტ ტენს.

თუ გსურთ, შეგიძლიათ ჰაერის ცვლისა და მიმართულების შეცვლა.

კონდიციონერი „ბკ-1500“ განსაზღვრულია 25 კვ მეტრამდე ფართობის ოთახისათვის „ბკ-2500“ უფრო მძლავრია და ყოფნის 35 კვ მ ფართს.

ფასები 442 და 575 მანეთია.

20 იანვრიდან 30 იანვრამდე სავაჭრო ფირმა „კულტსამეურნეო საქონლის“ მაღაზიაში (გულიას ქ. 1, ახალი ავტოსადგურის პირდაპირ) ეწყობა ბაქოს ქარხნის კონდიციონერების გაფართოებული გამოფენა-გაყიდვა.

გამოფენაზე მოწვეული არიან ქარხნის წარმომადგენლები, რომლებიც მყიდველებს გაუწევენ კონსულტაციას. ნაყიდი კონდიციონერის შინ მიტანას უზრუნველყოფს „ტრანსსააგენტო“, ხოლო მის ადგილზე დაყენებას — ქარხნის წარმომადგენლები. ქარხანა იძლევა აგრეთვე გარანტიას კონდიციონერის გამართულ მუშაობაზე.

კონდიციონერები იყიდება როგორც ნაღდად, ისე ნისიად და გადარიცხვით.



მკითხველის ფელეტონი

ცყუილს მოკლე ფეხი აქვს

— **ალო!** სახალხო სასამართლოა? მოსამართლე მინდოდა... თქვენა ხართ? ქალიან კარგი. მე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ყოდიკო ნანავა გახლავართ, ეგივე გია ნანეიშვილი... რაო? ორი კი არა, ერთი კაცი ვარ, ბატონო. ნანავა ჩემი ნამდვილი გვარია, ნანეიშვილი — ფსევდონიმი... ამჟამად მე თქვენი, ჩხოროწყუს რაიონის სტუმარი ვარ და სოფელ ლეწურწუმეში ვიმყოფები... ერთ სერიოზულ საკითხს ვამოწმებ და დაუყოვნებლივ მჭირდებით თქვენ და განთლების განყოფილების გამგე... გასაგებია?!

ეს სიტყვები ისეთი ტონით იყო წარმოთქმული, მოსამართლეს ფიქრადაც არ მოსვლია, სიტყვა შეებრუნებინა.

ცალე ლეწურწუმეს საყოფლ საბჭოში ჟ. ნანავამ შეკრიბა ყველა სასუფევლი პირი, ვინც მას საქმის გადასაწყვეტად სჭირდებოდა. მერე წამოდგა და ჭექა-ქუხილად დაატყდა თავს ყველას.

— მე აქ ერთ საქმეს გავეცანი ბავშვის გაშვილების შესახებ და უნდა პირდაპირ გითხრათ, მე თქვენი გადაწყვეტილება არ მომწონს, — უთხრა მან მოსამართლეს, — დიახ, დიახ, სწორი არ არის. ცუდად სჯით, და ალბათ გაზეთის ფურცლებზე თქვენი გამაშვლება და გამომზეურება მომიწევს... და არა მარტო თქვენი, სხვებისაც...

მუქარა ისე მკვეთრად იყო გამოთქმული, გარშემომყოფნი შეფიქრიანდნენ: მართლაც, რომ ადგეს და გაგვწეროს გაზეთში, რას შვრები! თავს კი მოგჭრის საქვეყნოდ და, მერე, არჩიე მრუდი და მართალი!

შევაშინეო, რომ შეატყო, უფრო აუმაღლა ხმა: ეს ამბავი უბრალოდ არ ჩაივლის, უნდა გიჩვენოთ, რას ნიშნავს კრიტიკის სუსხი გაზეთში.

მსმენელები ჯერ გასუსული იყვნენ, მერე აქა-იქ ჩურჩული გაისმა.

— ნანავა, ნანეიშვილი, ეს რომელი კორესპონდენტია. ასეთი გვარი არასოდეს არ წამიკითხავს გაზეთ „კომუნისტში“. — თქვა ვიღაცამ.

— ასეთი კორესპონდენტი რაღაც მეც არ მახსოვს.

— არც მე გამიგონია...

ეჭვი თანდათან გაღვივდა, გაიზარდა და ბოლოს, კონკრეტულ შეკითხვად ჩამოყალიბდა, რომელიც ნანავა-ნანეიშვილს დაუსვეს:

— პატივცემულო, თქვენ ალბათ მივლინებით ჩამობრძანდით ჩვენთან? თუ შეიძლება გვიჩვენეთ თქვენი მივლინების ბარათი და პირადობის მოწმობა.

— ბარათი? მოწმობა?.. კი ბატონო, ჩემი?.. კი, ახლავე... მე ხომ შტატგარეშე კორესპონდენტი ვარ, ისა.. ჩიტკორესპონდენტი... ესე იგი ისა... — დაიბნა ნანავა და ცივმა ოფლმა დაასხა.

— აააა... ესე იგი ცრუკორესპონდენტი! — ახლა უკვე ხმამაღლა და გაბედულად შეუბრუნეს მას სიტყვა და ისიც საბოლოოდ გატყდა.

გაუსინჯეს საბუთები და გამოირკვა, რომ თვითმარქვია კორესპონდენტი გახლავთ ყოდიკო მამიას ძე ნანავა. 40 წელს ჭიდაცილებული კაცი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი, პროფესიით ინჟინერი, რომელიც პენსიაში გასულამდე, 1977 წლის ნოემბრამდე ტყეარჩელის შახტებშ მუშაობდა.

ახლა კი ეცვალა ფერი ნანავას. ათასი ბოდიში მოიხადა და სინანულში ჩავარდა. შეეცდიო, ნასვამი ვიყავიო, პირველი შემთხვევაა და მაპატიეთო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ჟ. ნანავას პირველად არ უთაღლითია. სხვა დროს და სხვა შემთხვევაში მან გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კორესპონდენტად გაასაღა თავი.

მაინც რა სურდა, რატომ იჩემებდა ჟ. ნანავა გაზეთის კორესპონდენტობას?

ცხადია, უბრალო ხუმრობას და ლაზღანდარობას სულაც არ ჰგავს ეს ამბავი და ამისათვის ვერც მოიცლიდა ამ ხნის კაცი. მას სავსებით კონკრეტული და სერიოზული მიზნები ჰქონდა: ამ გზით საქმეები სურდა მოეგვარებინა და ხელი მოეთბო, მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხი აქვს და სიყალბისა და თაღლითობის გზით შორს არაკინ წასულა.

**ვ